**ხელშეკრულება №132**
**(გამარტივებული შესყიდვა)**

ქ. ამბროლაური 17 ივლისი 2013წ

*შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად*

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის კახაბერ ფარჯანაძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „გიორგი ბაკურაძე" (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, გაუთვალისწინებელი და დაუგეგმავი სამუშაოების შესყიდვა (სარეზერვო ფონდი).

2.შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სოფ. ბუგეულში წყალსადენის სატავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 595 (ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარით

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიწოდების ვადები

4.1.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება საამშენებლო წესებისა და ნორმების დაცვით და შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მთავრდება 2013 წლის 29 ივლისს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ანგარიშწორება მხარეებს შორის

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანების შესაბამისად

6.2. მიმდინარე ანგარიშსწორება ხდება, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შუალედური აქტის საფუძველზე.

6.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 7 დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს ახორციელებს გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2013 წლის 15 აგვისტომდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორსს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა #1
ს/ს ლიბერთი ბანკის ამბროლაურის ფილიალი
კოდი #220101421
ა/ა #GE59LB0120113005212000
ს/კ #222936633

ხელმძღვანელი - კახაბერ ფარჯანაძე

**მიმწოდებელი:**
ი/მ ,,გიორგი ბაკურაძე"
ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქუჩა #14. ბ.
ს/ს ლიბერთი ბანკის ამბროლაურის ფილიალი
კოდი #220101421
ა/ა #GE33LB0112194925414000
ს/კ #04001015250
ტელ.: 598 125 822

ინდ. მეწარმე - გ. ბაკურაძე გიორგი ბაკურაძე